# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №7(285) 2023 წ. 1-15 აპრილი ფასი 1 ლარი


## 6 აპრილი სპორტის საერთაშორისო დღეა!



**სპორტის** საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის*** **ავთანდილ გულიკაშვილის** გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს, წახალისების მიზნით, დადგენილებით განსაზღვრული ფულადი ჯილდო გადაეცათ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** კახეთის სახელმწიფო რწმუნებულთან, **გიორგი ალადაშვილთან** მაჟორიტარი დეპუტატთან **დავით სონღულაშვილთან** და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე **ალექსი გილაშვილთან** ერთად ქ. საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე 2022 წელს სხვადასხვა სახეობის სპორტში მოღვაწე წარმატებულ სპორტსმენთა ჯგუფს და მათ მწვრთნელებს შეხვდა, პროფესიული დღე მიულოცა, არსებულ საჭიროებებზე გაესაუბრა და მიღწეული წარმატებებისთვის მადლობის სიგელები გადასცა.



## თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად სოფელ დიდ ჩაილურში ახალი-თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი საზეიმო ვითარებაში გახსნა.



"ჩემი მიზანია, რომ სასწავლო - სააღმზრდელო პროცესი წარიმართოს კომფორტულ და შესაბამის გარემოში, ამისათვის მიმდინარეობს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ბავშვის გონებრივი განვითარებისა და შემეცნებითი აქტივობებისთვის აუცილებელია სათამაშოების მუდმივი განახლება, ჩვენ ეს პროცესი დავიწყეთ და ყოველ წელს თემატური სათამაშოების კოლექციებიც შეემატება.



დღეს, ყველა აღსაზრდელს საჩუქრად გადავეცი სახელმძღვანელოები - „პირველკლასელთა აკადემია“, მინდა გითხრათ, რომ ძალიან მრავალფეროვანი და შინაარსობრივად გამორჩეული წიგნია, რომელიც აუცილებლად დაეხმარება ბავშვებს საჭირო უნარ - ჩვევების გაღრმავებაში. მნიშვნელოვანია ის, რომ მსგავსი შინაარსის სახელმძღვანელო საქართველოში პირველად გამოიცა, აქედან გამომდინარე, „პირველკლასელთა აკადემია“ უნიკალური და უპრეცედენტოა - განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.



## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებს კომპიუტერები გადაეცათ



**დაჯილდოების** ცერემონიალს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*** **ავთანდილ გულიკაშვილი** ***კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან*** **გიორგი ალადაშვილთან**, ***მაჟორიტარ დეპუტატ*** **დავით სონღულაშვილთან**, ***საკრებულოს თავჯდომარე*** **ალექსი გილაშვილთან**, ***საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან*** **ლელა ფანოზიშვილთან** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წევრებთან ერთად დაესწრო, რომლებმაც პირადად გადასცეს წარჩინებულ მოსწავლეებს კუთვნილი კომპიუტერები.

პროგრამა სახელწოდებით – „ჩემი პირველი კომპიუტერი“, ხორციელდება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ, რომლის ერთ-ერთი ქვეპროგრამაა საქართველოს საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული წარჩინებული მოსწავლეების პორტაბელური კომპიუტერებით უზრუნველყოფა.



ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან მოსწავლეები, რომლებიც მიმდინარე წელს ასრულებენ საბაზისო საფეხურს და საფეხურის ნიშანი აქვთ 10 (ათი) ქულა დამრგვალების გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 9 აპრილს 56 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცა კომპიუტერი.

იმ დღესვე, სტუმრებმა ქ. საგარეჯოს № 1 საჯარო სკოლაში მოსწავლეების მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკის ნახატების საგამოფენო სივრცე დაათვალიერეს და პერფორმანსის სახით წარმოდგენილ პოემის ნაწყვეტის გაცოცხლებული პერსონაჟების თეატრალურ წარმოდგენას დაესწრნენ.

*ქეთი ბრატიაშვილი,*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი***

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**31 მარტი, 2023წ**



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე საკრებულოს ***თავმჯდომარე* ალექსი ბილაშვილი** უძღვებოდა. დღის წესრიგის გაცნობისა და კენჭისყრის შემდეგ, დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოსთვის მშენებლობის შეფასების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა* მადლენა სამუნაშვილმა.** მან საკრებულოს წევრებს გააცნო: „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოსთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი, რომელსაც ჩვენ მკითხველსაც ვთავაზობთ.

***მუხლი 1. რეგულირების სფერო***

1. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი" (შემდგომში – წესი) არეგულირებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ (შემდგომში - სამსახური) 2023 წლის 1 აპრილიდან საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 127-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (შემდგომში მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) შესრულების კონტროლის განხორციელების წესი, რომელიც ასეთია:

2. მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და გაცნობა ხდება მოქმედი კანონმდებლობის და ამ წესის საფუძველზე.

**მუხლი 2. მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის წესი**

1.სამსახური ვალდებულია მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა.

2. სამსახური ვალდებულია აწარმოოს შესაბამისი საინფორმაციო ბაზა/რეესტრი, რომელშიც ასახული იქნება ის ობიექტები, რომელთა ***მშენებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის მიერ შეჩერებულ იქნება 2023 წლის 1 აპრილიდან.***

3.სამსახური ვალდებულია ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული საინფორმაციო ბაზის/რეესტრის წარმოების პროცესისათვის გამოყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.

4.ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის შემოწმება გულისხმობს იურიდიული სამსახურში (ზედამხედველობის განყოფილებაში) დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას.

5.ამ მუხლის მეოთხე პუნქტში მითითებულ შემოწმების პროცესში, აუცილებელია გადაღებულ იქნას ობიექტის ფოტოსურათები, რომლებზეც მითითებულ უნდა იქნას გადაღების თარიღი და შედგენილ იქნას დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/აღმოფხვრის ფაქტი.

6.დათვალიერების ოქმი უნდა შედგეს სათანადო წესით და მოეწეროს ხელი იურიდიულ სამსახურში (ზედამხედველობის განყოფილებაში) დასაქმებული შესაბამისი პირ(ებ)ის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია დათვალიერების ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე. შესაძლებელია დათვალიერების ოქმზე,ასევე,დაფიქსირდეს სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერაც, რომლის არარსებობამაც არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ოქმში მითითებული ინფორმაციის სისწორე.

7.მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და იღებს დადგენილებას მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობის შესახებ, რომელიც აღსასრულებლად მიექცევა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.ამ მუხლის მეშვიდე პუნქტში მითითებულ შემთხვევაში, სამსახური ვალდებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული პერიოდულობით განახორციელოს ობიექტის შემოწმება.

9.იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში მითითებული სამშენებლო სამუშაოების შეჩერების საფუძველი, სამსახური გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს „მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.ამ მუხლის მეცხრე პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამსახურის ვალდებულება არ ვრცელდება ამგვარი ობიექტების მიმართ.

სხდომაზე ***დღის წესრიგის მეორე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა* თინათინ ძაბილაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა: დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის №545 განკარგულებით გამოყოფილი თანხების დამატებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზრდება 570000 ლარით, გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გაიზრდება 570000 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზრდება 570000 ლარით და შეადგენს 56360908 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის №545 განკარგულებით „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების

*დასასრული მე-4 გვერდზე*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

**5 აპრილი, 2023წ.**



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** მოადგილეებთან, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან და მათ თანაშემწეებთან ერთად, არსებული პრობლემების გადაჭრის გზებსა და ამოცანებზე მსჯელობის მიზნით გეგმიური - სამუშაო შეხვედრა გამართა, რაც ძირითადად მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოებსა და სოციალური საკითხების განხილვას შეეხო.

გაერთიანებული სამუშაო შეხვედრის მიზანს ასევე წარმოადგენდა სხვადასხვა პროექტებთან და ინიციატივებთან დაკავშირებით წარმომადგენლების მეტი ინფორმირებულობა. მსგავსი ფორმატის შეხვედრები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში კოორდინირებულ მუშაობასა და ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტურ განხორციელებას.



## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

**2023 წლის 31 მარტი**

***ქ. საგარეჯო***

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოსთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" (მატსნე.გოვ.გე, 29/12/2022, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020771) მე-2 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოსთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესი" დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 აპრილიდან.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** — *ალექსი ბილაშვილი*

# ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში

## სოფელი ბადიაური

კომლი – 462
მოსახლეობა – 1575
**მიწის ფართობი**
სულ – 4595ჰა, ***აქედან***
კერძო – 2686ჰა
სახელომწიფო – 1909ჰა
**სახნავი** სულ 1681ჰა აქედან
კერძო 1331ჰა
სახელმწიფო – 350ჰა
**მრავალწლიანი ნარგავები 306ჰა**
კერძო – 306ჰა
**საძოვარი – სულ 2566ჰა**
კერძო – 1007ჰა
სახელმწიფო – 1559ჰა
**საკარმიდამო** სულ 42ჰა
აქედან სახნავი 20 ჰა
მრავალწლიანი ნარგავები 17ჰა.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ბადიაურში***

**კახაბერ ჩალათაშვილი**



***დაიბადა*** 1980 წელს სოფელ ბადიაურში.

**განათლება**: 1997 წელს დაამთავრა ყანდაურის საშუალო სკოლა, 1999-2004 წლებში სწავლობდა თბილისის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

**სამუშაო გამოცდილება**

1997-2004 წლებში იყო თვითდასაქმებული,.

2005-2016 წლებში დასაქმებული იყო შპს „გზამშენის" სხვადასხვა ლოკაციებზე: საქმის მწარმოებლის თანაშემწე, მემანქანე-ოპერატორი.

2018 წლიდან არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ბადიაურში

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.



დიკო ოდიშვილი
*წარმომადგენლის თანაშემწე*

**ინფრასტრუქტურა**

**2021 წელს** საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით მოხდა სოფელში არსებული სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – (91258 ლარი)

* „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით აქ მოეწყო ქუჩის გარე განათება (24341 ლარი)

* სოფელში რეაბილიტაცია ჩაუტარდა მინი სპორტულ მოედანს, მოეწყო ხელოვნური საფარი (41300 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით).

* ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა ბადიაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საქვაბის შენობიდან გამოტანა (18526 ლარი).

**2022 წელს**

**პროგრამა** „სოფლის მხარდაჭერა" გათვალისწინებული იყო სოფელში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოს მოწყობის სამუშაოების ჩატარება, რაზედაც 20000 ლარი იყო გამოყოფილი.

საბავშვო ბაღში მოეწყო საბავშვო სპორტული მოედანი, ატრაქციონი.

რეაბილიტაცია გაუკეთდა სასმელი წყლის მაგისტრალს, გაკეთდა სასმელი წყლის გამრიცხველიანება და ამჟამად არის სატესტო რეჟიმში.

**2023 წ.**

**მიმდინარე** წელს „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით სოფელ ბადიაურში საბავშვო ბაღის ეზოს რეაბილიტაციის, აქედან გარე განათების, სანიაღვრე სისტემის მოსაწესრიგებლად 20000 ლარია გამოყოფილი.

გაიხსნა ახლადაშენებული სპორტდარბაზი, სადაც ფუნქციონირება დაიწყო ჭიდაობის სექციამ.

დაპროექტდა სოფელში არსებული 3 ქუჩა ასფალტის დასაგებად.

**საჯარო სკოლა**

**ბადიაურის** საჯარო სკოლის (მენეჯერი **ციური გიქორაშვილი**) შენებობა



1974 წელს აშენდა. შენობა სამსართულიანია, ახლადრეაბილიტირებუილი, საკმაოდ



კეთილმოწყობილი.

სკოლის მენეჯერი ციური გიქორაშვილი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია. პედაგოგობის 52 წლიდან 18 წელია სკოლის მენეჯერია.



სკოლის 203 მოსწავლე 13 საფინანსო კლასშია გადანაწილებული. პირველკლასელია – 26 (დამრიგებელი ნინო ზაკალაშვილი, მეთორმეტეკლასელია – 14 მოსწავლე, ნინო ჯავახიშვილი მედლის კანდიდატია. გასულ წელს სკოლა 13-მა ახალგაზრდამ დაამთავრა. სკოლის 24 პედაგოგიდან 23 სერტიფიცირებულია. მათგან 2 წამყვანი პედაგოგია. სკოლაში 27 ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეა, მათგან – 8 პირველკლასელი.

**სპორტდარბაზი**



**სულ** ახლახანს გაიხსნა ახლადაშენებული სპორტდარბაზის შენობა, სადაც ფუნქციონირება დაიწყო ჭიდაობის წრემ. სექციაში სკოლის უამრავმა მოსწავლემ გამოთქვა მეცადინეობის სურვილი.

**<u>კულტურის ცენტრი</u>**

**სოფელ** ბადიაურის კულტურის ცენტრი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული . სრულყოფილი არა, მაგრამ ნორმალური პირობებია აქ შექმნილი საკლუბო მუშაობის გასაშლელად. ცენტრში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული წრე „მზეკაბანი", რომლის ქორეოგრაფები არიან გიგლა და ლუკა ნაჭყებიები, ხატვის წრე (პედაგოგი ელენე ზირაქაშვილი) და ხალხური საკრავების შემსწავლელი წრე, პედაგოგი სერგო როსტომაშვილი, რომელიც ანსამბლ „ერისიონის" წევრია. კლუბს საინტერესო, ლამაზი ტრადიციები აქვს. საკლუბო მუშაობის სპეციალისტი **მზია ხორბალაძე** 2004 წლიდან უნარიანად და შემოქმედებითად უძღვება აქ მოსულ ღონისძიებაში მონაწილესა თუ სტუმრად



მოსულ მაყურებელისათვის სასიამოვნო



გარემოს შესაქმნელად. მართალია, კოვიდ პანდემიამ ცოტა ხნით გამოკეტა კლუბის კარები, მაგრამ სულ მალე აქაურობა სტუმრებმა, საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და სოფლის ახალგაზრდობამ აახმიანა – შემოდგომის ოქროს ფერებით მორთული ეზო გულღიად შეხვდა ყველას, ვინც იმ დღისით სურვილით ეწვია ღონისძიებას – ერთად ეზეიმათ 2022 წლის ბარაქიანი შემოდგომის ერთი ლამაზი დღე. აქ, ეთნოგრაფიულ კუთხეებში წარმოდგენილი იყო კახეთის, ბადიაურის მიწის ხვავისა და ბარაქის ნიმუშები, ტრადიციები, კულტურა, მოეწყო ბავშვთა სამხატვრო გამოფენები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ძალებით გაიმართა კონცერტი.

ქალთა დღესასწაულებს მიუძღვნეს 3 მარტს კულტურის ცენტრში გამართული ღონისძიება, სადაც მრავალშვილიანი დედები მიიწვიეს. ეს საღამო მრავალშვილიან დედებს ბადიაურის საჯარო სკოლის ანსამბლების მომღერლებმა და მოცეკვავეებმა გაულამაზეს.. ღონისძიებაზე მოწვეულ მრავალშვილიან დედებს სიმბოლური საჩუქარი გადაეცათ. მათ მადლობა გადაუხადეს ბადიაურის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს მზია ხორბალაძეს ღონისძიების ორგანიზებისა და ერთი ლამაზი დღის ჩუქებისათვის.

**საექიმო ამბულატორია**

**ბადიაურის** მოსახლეობას საექიმო ამბულატორიის ოჯახის ექიმი **ეთერ ცხადაძე** 1987 წლიდან ემსახურება. 1400-



ზე მეტი ბადიაურელი, სხვადასხვა ასაკისა ქრონიკული დაავადებების მქონეთ ეთერი ექიმის ყურადღების და პროფესიონალურად მომსახურების იმედი აქვთ. შენობა, რომელშიც ოჯახის ექიმს ბადიაურელების მომსახურება უხდება, იმდენად ავარიულია, იმდენად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, რომ იქ ყოველდღიური სამედიცინო მომსახურება თანდათანობით შეუძლებელი ხდება. შენობის კედლები მორღვეულია, ჭერი დაზიანებული.

უახლოეს მომავალში სახელმწიფოს მიერ იგეგმება ასეთი საექიმო ამბულატორიების შენობათა ახალი შენობებით შეცვლა.

**ბადიაურელები** ამაყობენ მათი თანამემამულის, NBA-ს კლუბ „ორლანდო მეჯიქის" კალათბურთელ **გოგა ბითაძით.** რომელმაც სოფელი და მთელი საქართველო ასახელა.



# ჩვენს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა-2023

## შენობა – წლობით ნაოცნებარი



**ქ. საგარეჯოში** კახეთის გზატკეცილზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ახალი შენობის მშენებლობა დაიწყო.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 153 000 ლარით ფინანსდება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება.

შენობის საძირკვლის მოსამზადებელ სამუშაოებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, **ავთანდილ გულიკაშვილი** პირველ მოადგილეს **ემზარი კუჭუაშვილთან** ერთად ადგილზე გაეცნო.



*ქეთი გრატიაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი***

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**31 მარტი, 2023წ**

**დასასრული**



მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 570000 ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა (საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები).

საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ცვლილება მოხდება ქვეპროგრამებს შორის, 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული პროექტი ***„სოფელ შიბლიანში ე.წ. „თუთუბიანის" გზის მოასფალტება"*** შეჩერებულია, რადგან შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" გეგმავს მუნიციპალიტეტის სოფლების 24 საათიანი წყალმომარაგების განხორციელებას. ამის ნაცვლად, ***სოფელ შიბლიანში მოეწყობა სკვერი*** საორიენტაციო ღირებულებით 221741 ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამატებით განლაგდა 275 ცალი საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერი, საჭირო გახდაბ კიდევ ერთი სპეცდანიშნულების მანქანის დაქირავება, დამატებით ერთი მძღოლი და 3 მუშა, წლის ბოლომდე ხარჯი შეადგენს 41140 ლარს. ასევე ორი საშტატო ერთეული ემატება შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი-2018"-ს დამლაგებლის პოზიციაზე (სახელფასო განაკვეთი – 484 ლარი) თანხით 9680 ლარი. სულ შპს „სუფთა მუნიციპალიტეტის 2018"-ის სუბსიდიას დაემატება 50820 ლარი. ხსენებული თანხის გადატანაც მოხდება ზემოთ აღნიშნული პროექტიდან. საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზისათვის ტატამის ორი კომპლექტის შესაძენად 75520 ლარის გამოყოფა ასევე მოხდება ზემოთ აღნიშნული პროექტიდან.

სულ ***ახალი გზების მშენებლობის*** პროგრამა მცირდება 348081 ლარით, 272561 ლარი გადადის დასუფთავება და გარემოს დაცვა-ს პროგრამაში და 75520 ლარი დაემატება სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამას.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ დეპუტატთა მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს მომხსენებელმა და ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი ბილაშვილმა.***

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი ბილაშვილმა.***



***ფოტოების ავტორია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პრესსპიკერი***

*მარი აზარიაშვილი*

# 14 აპრილი დედა ენის დღეა!

**ქართული** ენა უძველესია მსოფლიო ენათა შორის და 14 ორიგინალური ანბანიდან ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს თავისი უნიკალურობით.

XI საუკუნის ცნობილი მოღვაწის ლეონტი მროველის მიერ დაწერილ თუ გადაწერილ (დღემდე არ არის დადგენილი) „ქართლის ცხოვრებაში" ნათქვამია, რომ ქართული დამწერლობა შექმნა ფარნავაზ მეფემ და „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული", თუმცა პირველ ლიტერატურულ ძეგლად მიჩნეულია „შუშანიკის წამება". მეცნიერები თვლიან, რომ მას აუცილებლად ექნებოდა განვითარების რაღაც ეტაპები. ამის თქმის უფლებას გვაძლევს მისი დახვეწილობა და სრულყოფილება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საღვთო წერილი ყველაზე ადრე სწორედ ქართულად ითარგმნა.

V საუკუნიდან მოყოლებული ქართველებმა შექმნეს უმდიდრესი ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც.

ქართული ენის ინტენსიური განვითარება უკავშირდება XIX საუკუნის ისეთ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ იაკობი, ილია, აკაკი, ვაჟა. მათ შთააგონეს ქართველობას, რომ „ენა მამული, სარწმუნოება" განუყოფელი ცნებებია და რომ ენისა და სარწმუნოების შენარჩუნება ეროვნების შენარჩუნებას ნიშნავს. ამდენად, შემოსეული მტრის წინააღმდეგ ხმალშემართული ქართველობა ეროვნებასთან ერთად ენასაც იცავდა. ბევრჯერ დაუდგა მძიმე დღე ქართულ ენას, თუნდაც XIX საუკუნის გახსენება რად ღირს, როცა ყველგან აიკრძალა ქართული ენა, მათ შორის სასწავლებლებშიც. როგორც აკაკი წერს, ოჯახებშიც კი აღარ საუბრობდნენ ქართულად. ერმა დათმო პოზიციები და სადღა იყო გულანთებული ქართველობა. ნათქვამია, როცა ერი გმირს ეძებს, ის თუნდაც ხის ფუღუროდან გამოხტებაო და ასეთი გმირი აღმოჩნდა ილია. მისი ცნობილი ფრაზა „ენა, მამული, სარწმუნოება" განუყოფელ ცნებებად იქცა ქართველებისათვის. „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს". ამ სიტყვებმა, შეიძლება ითქვას, გამოაფხიზლა ქართველი ერი, დააფიქრა თავის მომავალზე.

იაკობ გოგებაშვილის შექმნილმა „დედა ენამ" კი ქართველი ბავშვი აზიარა მის სილამაზეს და დააწაფა ენის სიტკბოებას, არა მთლიანად ანბანის, არამედ იმ ორი ა და ი ბგერით, რომნლითაც ბავშმა წინადადებები გამართულად წარმოთქვა.

მრავალგზის ტანჯული ქართული ენა მოვიდა XX საუკუნემდე და ეს უკვე მერამდენედ დადგა გაქრობის საფრთხის წინაშე. იდგა 1978 წელი. რუსეთმა გადაწყვიტა კონსტიტუციიდან ამოეღო მუხლი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ. ეს მართლაც მეტისმეტი აღმოჩნდა ქართველებისთვის და დაიწყო საპროტესტო სვლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტიდან. აქციაში მონაწილეთა რიცხვმა მალე 100000-ს გადააჭარბა და იძულებული გახდა რუსეთი – დაეთმო. ეს იყო ერთადერთი საპროტესტო გამოსვლა, რომელიც მსხვერპლით არ დამთავრებულა. აეხილა ქართველ ერს თვალი, გაიღვიძა მასში მიძინებულმა ეროვნულმა სულმა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას ღირსება არ დაუკარგავს. საბჭოთა რეჟიმმა უკან დაიხია.

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია". უთანასწორო სარბიელზე ბრძოლას აზრი მიეცა, ქართველმა მოიაზრა, რომ ენის გარეშე ერის არსებობა, ფაქტობრივად არაფრობაა, ის ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელია.

1990 წელს ქართველი ხალხის მიერ მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად და უკვდავსაყოფად 14 აპრილი დედა ენის დღედ გამოცხადდა. ქართულ ენას კი ძეგლი დაუდგა, როგორც სიმბოლო უკვდავებისა.

მუხრან მაჭავარიანმა კი სიტყვებით –

***„ქართული მარტო ენაა,?!***
***ქართული ქართველთ რწმენაა,***
***ღმერთია, ბედისწერაა,***
***ზღვა როა, იმოდენაა",***

კიდევ ერთხელ შეგვახსენა ,რომ ჩვენს მშოვბლიურ ენას გაფრთხილება და მოფერება სჭირდება. ღმერთთან გაიგივებული ენა დღესაც დგას დაბინძურების საფრთხის წინაშე. ქართული ენა, ხომ ერთ-ერთი მდიდარია და სრულიად ზედმეტია ამ სიტყვების ჩანაცვლება ინგლისურით.

თითოეულ ქართველს უნდა ახსოვდეს დიდი პოეტის გრიგოლ ორბელიანის სიტყვები:

***„ერის ცხოვრება, მისი დიდება,***
***მისი ისტორია დაცულ არს ენით,***

*ნელი ქაიხოსროშვილი,*

***საგარეჯოს I საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი***

# მართლმადიდებლობა

## აღდგომა ქრისტესი

**ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! –**

**ასე** ესალმებიან ერთმანეთს ქრისტიანები აღდგომას. ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უსწრებს სააღდგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვამზადებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. წელს მართლმადიდებლურ სამყაროში წამებული იესოს მკვდრეთით აღდგომას ქრისტიანები 16 აპრილს ულოცავენ ერთმანეთს.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: "მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები". კვირა დღეს, გამთენიისას საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: "მარიამ!" მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაექანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: "აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა". მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა – ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

აღდგომილი იესო ქრისტე ორმოცი დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი – მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასქა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: "მე ვარ პური ზეცით გარდამოსული".

ქრისტე აღდგა!!!

## რ ე ჰ ა ნ ი



**ხის** ჯვარი, რომელზეც იესომ სული დალია, ხალხმა მოიპარა და ძალიან ღრმად ჩაფლა მიწაში, რათა ურჯულოებს არასოდეს შესძლებოდათ მისი ნახვა და განადგურება.

გავიდა მრავალი ხანი.

წმინდა ელენიმ გადაწყვიტა ამ ჯვარის პოვნა, რათა იერუსალიმში ეკლესიაში გაეგზავნა და მორწმუნეებს შესძლებოდათ მასთან მიახლოება და ლოცვა.

ბრძანება გასცა, ახლო-მახლო მინდორი გადაეთხარათ და ჯვარი მოეძებნათ.

თვეები მიმდინარეობდა ძიება, მაგრამ უშედეგოდ. ერთ დღეს ელენი მინდორში გავიდა სასეირნოდ.

საოცარი სურნელი მოიტანა ქარმა საიდანღაც. ელენი მიხვდა რომ რომელიღაც მცენარე აფრქვევდა, ამ სურნელებას. დაიწყო მდელოს დათვალიერება და აღმოაჩინა პატარა ლამაზ ფოთლებიანი მცენარე თეთრი ყვავილებით.

უცნაური ის იყო რომ, ამ მცენარეს სხვადასხვა ფერის შეფერილობის ფოთლები ჰქონდა. წითელი და მწვანე. წმინდა ელენი მიხვდა რომ ეს იყო ნიშანი უფლისგან. ბრძანა, იქ გაეთხარათ მიწა და ჰოი, საოცრებავ, სულ ახლოს, ისე, რომ ღრმად ჩასვლაც არ დასჭირვებიათ მიწის მთხრელ ბრიგადას იპოვეს ჯვარი.

ჯვარი, რომელზეც ადამიანად ხორცშესხმული მაცხოვარი გააკრეს.

ჯვარი, რომელზეც უკანასკნელი ამოსუნთქვა დატოვა ქრისტემ.

ჯვარი, რომელიც კაცობრიობის მფარველად და მცველად იქცა.

ჯვრის ადგილსამყოფლის მაუწყებელ მცენარეს ვასილიკო, ანუ ჩვენებურად სამეფო უწოდა ელენიმ.

მას შემდეგ ვასილიკო სამყაროს მეუფის სიახლოვის გარანტიად ითვლება.

წითელი ვასილიკო ქრისტეს სისხლის წვეთებიდან აღმოცენდა და მისი მიღება ორგანიზმისთვის არის, წმინდა, როგორც ქრისტეს სისხლის და ხორცის მიღება ზიარების დროს.

ვასილიკო, ანუ ჩვენებურად რეჰანი ორგანიზმს წმენდს ყოველგვარი შლაკებისგან, აახლებს სისხლს, იცავს გულს, ეხმარება ადამიანს მეხსიერების გაუმჯობესებაში.

საბერძნეთში, თითქმის ყველა სახლის, ყველა მაღაზიის, ბარის, ეკლესიის წინ აქვთ გამოდებული ვასილიკო ცუდი აურის და ცუდი თვალის გასადევნად.

ჯვართამაღლების დღესასწაულზე 14 სექტემბერს ვასილიკოს ტოტებს ურიგებენ მორწმუნეებს ეკლესიაში.

ვასილიკო ერთწლიან მცენარედ ითვლება, თუმცა არსებობს ოჯახები, სადაც ორი და სამი წელიც სძლებს.

ამბობენ, ეს უფლის სიყვარულის და მისი მფარველობის ნიშანიაო ამ ოჯახზე.

წითელი ვასილიკო ქრისტეს სისხლზეა ამოსული და წმინდა მცენარედ ითვლება.

მათი თესლის მიღება შიმშილის გრძნობას ჰკლავს, თუმცა ამავდროულად უზრუნველყოფს ორგანიზმს ყველა სიცოცხლისთვის საჭირო ნივთიერებებით...

## ხარება იესოს შობის შესახებ

**პატარა** ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდა მოკრძალებული ქალწული, მარიამი, რომელსაც უფალი წმინდა გულით უყვარდა. ერთხელ მას გამოეცხადა უფლისაგან გამოგზავნილი მთავარანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „გიხაროდეს! მომადლებულო, შენთანაა უფალი. კურთხეული ხარ დედათა შორის". მარიამი შეკრთა, მაგრამ ანგელოზმა დაამშვიდა: „ნუ გეშინია, მარიამ, რადგან ღვთის მადლი იპოვე. დაორსულდები, გაგიჩნდება ვაჟი და სახელად იესოს დაარქმევ. ის იქნება დიდი პიროვნება და ღმერთის ძე ეწოდება. მისცემს მას უფალი მამამისის, დავითის, ტახტს და ქვეყნის აღსასრულამდე იმეფებს იგი იაკობის სახლზე, არ ექნება დასასრული მის მეფობას".

იმ დროს მარიამი მხოლოდ დანიშნული იყო იოსებზე და ამიტომ გაუკვირდა: „ეს როგორ მოხდება, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?" ანგელოზმა მიუგო: „სულიწმინდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა მოგჩრდილავს. ამიტომ წმინდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ". მაშინ მარიამმა თქვა: „აჰა, მხევალი ვარ უფლისა. მეყოს შენი სიტყვისამებრ" და განეშორა მას ანგელოზი.

როცა იოსებმა გაიგო, რომ მარიამი ბავშვს ელოდებოდა, მასთან ფარულად დაშორება გადაწყვიტა, მაგრამ ძილში უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „იოსებ, ძეო დავითისა, ნუ გეშინია შენი ცოლის, მარიამის, მიღება, რადგან ის, ვინც მასშია ჩასახული, სულიწმიდისაგან არის. ძეს შობს და დაარქმევ სახელად იესოს, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან". (ლუკას სახარება 1,26-35; მათეს სახარება 1,20-21)

## ბზობა - (ბაიაობა) უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში

**მართლმადიდებელი** ეკლესია დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას ანუ ბზობას უწოდებენ. ეს გახლავთ ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს.

„...ერი მრავალი, რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვალს იერუსალემდ, მოიღეს რტოები დანაკის კუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, მეუფე ისრაელისაი!", - ასე აღწერს იოანე მახარებელი მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლის ამბავს.

მაცხოვრის შესვლა იესუსალიმს ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს უფალს. ეს ზეიმი წინასწარ არავის მოუმზადებია, ის ადამიანთა ყველაზე წმინდა, ყველაზე წრფელი გრძნობების უეცარი და, შეიძლება ითქვას, უფლის მიერ შთაგონებული გამოხატულება იყო. ასე ხდება, როცა ადამიანი ხარობს ღვთის დიდებულებისა და მისთა საკვირველთა საქმეთა გამო.

ამავე დროს, წმიდა სახარება საცნაურს ხდის იმ ფაქტს, რომ უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, ყოველთვის გაურბოდა მიწიერ პატივსა და დიდებას. ის თავმდაბლობითა და სიმშვიდით იფარავდა თავს ამქვეყნიური ზეობისაგან.

როდესაც მაცხოვარი მიუახლოვდა ბეთბაგესა და ბეთანიის მთას, რომელსაც ზეთისხილის მთა ეწოდება, ორი მოწაფე უახლოეს სოფელში გაგზავნა, რათა მიეყვანათ მისთვის შესასვლელშივე დაბმული ვირი და ჩოჩორი, რომლის ზურგზეც ჯერ არავინ მჯდარიყო. მოციქულებმა ბრძანება შეასრულეს. ეს ყველაფერი იმისთვის მოხდა, რომ აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიასი: „და პოვა იესო ვირი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს: ნუ გეშინინ, ასულო სიონისაო! აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა და ზე ზის იგი კიცვსა ვირისასა" (იოანე 12, 14-15).

იერუსალიმისაკენ დიდებით მიმავალი ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის (ბზის) რტოები ეკავა და ასე ეგებებოდა მაცხოვარს. ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!" (მათე 21, 9).

ბზის ან პალმის მშვენიერებით ეკლესია უფრო ცხოვლად გამოხატავს უფლის დიდებით შესვლად იერუსალიმში. ეს დიდი ხნის ტრადიციაა. V საუკუნის სასულიერო მოღვაწე, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი წმიდა პროკლე, თავის ერთ-ერთ სიტყვაში ასე ამბობს: „ხელთ ვიპყრათ პალმის ტოტები და შევეგებოთ დიდებით მომავალს უფალს ჩვენსას".

ღმერთი კი ყოველ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კიცვზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი ბზის ტოტებივით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც იერუსალიმში.

იერუსალიმს დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს - მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

## წმინდა ცეცხლი



**იერუსალემში** 1579 წლის სასწაული წმინდა ცეცხლმა გააპო სვეტი!

1579 წელს როდესაც თურქმა მმართველებმა აუკრძალეს მართლმადიდებელ ბერძენ პატრიარქს გასძღოლოდა ტრადიციულ ღვთისმსახურებას აღდგომის ტაძარში, სომხური ეკლესიის მღვდელმსახურები გაურიგდნენ ქალაქის მმართველობას და სულთან „მურად მართალს". გადაწყდა, რომ სომეხი პატრიარქი გაუძღვებოდა პასექის დღესასწაულს და ერთპიროვნულად მიიღებდა მადლმოსილ ცეცხლს.

სომეხ მღვდელმსახურთა მოწოდებას ერთად აღენიშნათ პასექის დღესასწაული – გამოეხმაურა უამრავი „ერთმორწმუნე" ადამიანი, ახლო აღმოსავლეთიდან და იერუსალიმიდან 1579 წლის დიდ შაბათს მათ თავი მოიყარეს უფლის მადლმოსილ საფლავთან.

პატრიარქი სოფრონი IV და მართლმადიდებელი მომლოცველები საერთოდ გააძევეს ტაძრიდან.

ისინი წმინდა ტაძრის შესასვლელთან, დახურული კარის წინ იდგნენ და ლოცვას აღავლენდნენ უფლის წინაშე, გულმხურვალედ ითხოვდნენ ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლას და ამავე დროს წუხდნენ მადლისაგან განყენების თაობაზე.

მიუხედავად სომეხთა პატრიარქის ხანგრძლივი ლოცვისა, სასწაული ყოვნდებოდა, არ აღესრულებოდა, მაგრამ უეცრად ცა გაბრწყინდა სწორედ ისე, როგორც ცეცხლის გარდამოსვლის დროს ხდება ხოლმე, ტაძრის შესასვლელთან სვეტი გააპო, სწორედ იქ, სადაც იდგა მართლმადიდებელი პატრიარქი. შუაზე გაპობილი სვეტი დღესაც იხილება ნიშნად მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებისა.

სვეტიდან ცეცხლოვანი შხეფები იფრქვეოდა და პატრიარქის სანთელიც აინთო. მან გადასცა ერთმორწმუნე ერს ღვთის მოწყალების დადასტურება – ღვთაებრივი ცეცხლი.

მთელი ისტორიის მანძილზე ეს გახლდათ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ცეცხლის გარდამოსვლა ტაძრის გარეთ მოხდა!

# იუბილარი

## საგარეჯოში ლევან თედიაშვილის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა



**12 აპრილს** ქალაქ საგარეჯოს კულტურის სახლში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა ლეგენდარული ქართველი მოჭიდავის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლევან თედიაშვილის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიებას ცნობილი მსახიობი და რეჟისორი გია ჯაფარიძე უძღვებოდა.

ღონისძიებას დაესწრნენ სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი,პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, ქალაქ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ გულიკაშვილი, ოლიმპიური ჩემპიონები-დავით გობეჯიშვილი და შოთა ხაბარელი,ვეტერანი მოჭიდავე ავთანდილ მაისურაძე, ახლაგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენები, სპორტის გულშემატკივრები და მედიის წარმომადგენლები.

ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისათვის და დაბადებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით ლევან თედიაშვილი დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო მედლით და სეოკ-ის პრემიით. ლეგენდარულ მოჭიდავეს ჯილდო გადასცა სეოკ-ის პრეზიდენტმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა.

ლერი ხაბელოვი: „ლევან თედიაშვილს განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უკავია ქართულ სპორტში. ის არის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენი, დიდი ჩემპიონი,რომელსაც პატივს სცემს და აფასებს საჭიდაო სამყარო



მთელს მსოფლიოში. მან ჭიდაობის ქართულ სკოლას საყოველთაოდ გაუთქვა სახელი, ორჯერ მოიგო ოლიმპიური თამაშები, არაერთგზის მოიპოვა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. მინდა ოლიმპიური კომიტეტის და ჩვენი სპორტული საზოგადოების სახელით მივულოცო მას ეს საიუბილეო თარიღი, ვუსურვო ჯანმრთელობა და დღეგრძელობა."

ლევან თედიაშვილი დაიბადა 1948 წლის 15 მარტს საგარეჯოში. თავისუფალი სტილით მოჭიდავე. XX და XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972, მიუნხენი და 1976, მონრეალი). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი: ოთხჯერ-თავისუფალ ჭიდაობაში (1971, 73, 74, 75), ერთხელ - სამბოში (1973). მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1978), მსოფლიოს თასის მფლობელი (1973), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1974, 76, 78), სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი (1971) , სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 74). სსრკ წლის საუკეთესო სპორტსმენი (1973). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ბრინჯაოს პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, სოკის, ფილას, ღირსების ორდენების კავალერი.

---

# სახელოვანი მოჭიდავის ხსოვნას პატივი მიაგეს

12 აპრილს ლეგენდარულ საგარეჯოელ მოჭიდავეს,ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონს არსენ მეკოკიშვილს 111 წელი შეუსრულდებოდა. დღეს სეოკ-ის ხელმძღვანელებმა,ოლიმპიურმა ჩემპიონებმა და ვეტერანმა სპორტსმენებმა სახელოვანი მოჭიდავის ხსოვნას პატივი მიაგეს, მის მშობლიურ სოფელში - გიორგიწმინდაში მეკოკიშვილის საფლავი გვირგვინით შეამკეს.



# კულინარიული სამყარო

## თათარ ბორაკი

**ინგრედიენტები**:
ნიორი 4-5 კბილი
მაწონი
კარაქი
მზა ცომი



**მომზადების წესი:**

**ცომი** თხლად გავაბრტყელოთ და პატარა კვადრატებად დავჭრათ.

ქვაბში ავადუღოთ ბლომად წყალი, დავუმატოთ მარილი და როცა ადუღდება, ჩავყაროთ დაჭრილი ცომი. ქვაბს სახურავი სანახევროდ დავახუროთ და საშუალო ცეცხზე ვხარშოთ მომზადებამდე, შემდეგ გადავწუროთ.

პარალელურად. მაწონს შევურიოთ დანაყილი ნიორი.

მოხარშული ცომი ამოვიღოთ თეფშზე. მოვასხათ ნივრიანი მაწონი.

კარაქთან ერთად ძალზე გემრიელია.

ალბათ გაინტერესებთ რატომა ხახვის გარეშე, იმიტომ რომ, ეს თათარ ბორაკის სომხური ვერსიაა. ამ სომხურ ვერსიაში მხოლოდ ნივრიანი მაწონი და ცხიმი ფიგურებს

თათარბორაკი ძალიან პოპულარული კერძია კავკასიაში.

---

## ჩაქაფული

**ინგრედიენტები**:
ბატკნის ან ხბოს ხორცი – 1 კგ
ქინძი – 80 გ
ოხრახუში – 70 გ
მწვანე ხახვი – 150 გ
ტარხუნა – 200 გ
ნიორი – 15 გ
ახალი ტყემალი -200 გ
თეთრი მშრალი ღვინო – 350 მლ
მწვანე წიწაკა – 15 გ
მარილი გემოვნებით



**მომზადების წესი:**

**ხორცი** დაჭერით საშუალო ნაჭრებად და ოთხ ნაწილად გაყავით. ქინძი, ოხრახუში, მწვანე ხახვი და ტარხუნა დაჭერით უხეშად, არ დაკეპოთ, აურიეთ ერთმანეთში და ასევე ოთხ ნაწილად გაყავით.

2. ქვაბში ერთ ფენად ჩააწყვეთ ხორცი და მოაყარეთ წინასწარ დაჭრილი ქინძი, ოხრახუში, მწვანე ხახვი და ტარხუნა, ცოტა ახალი ტყემალი და ნიორი; შემდეგ ისევ ხორცის ფენა ჩააწყვეთ და კვლავ მოაყარეთ მწვანილეულობა. ასე გაიმეორეთ რამდენჯერმე.

3. ბოლოს დაამატეთ დაჭრილი წიწაკა, მოასხით ღვინო და დაამატეთ იმდენი წყალი, რომ ხორცი ოდნავ დაფაროს. ადუღეთ კერძი დაბალ ცეცხლზე. წამოდუღებულ კერძს ამოურიეთ და მოაყარეთ მარილი გემოვნებით. როგორც კი ხორცი მოიხარშება, ჩაქაფული მზად არის.

---

## სოკოს არომატული ჩაქაფული

**ინგრედიენტები**
ხის სოკო - 2 კგ
ხახვი - 5 თავი
პრასი - 2 ცალი, ფოჩების გარეშე
ახალი ნიორი - 1 ცალი, ფოჩების გარეშე
მწვანე ხახვი - 1 კონა
ტარხუნა - 6 კონა
ქინძი - 1 კონა
ნედლი პიტნა - 6-7 ღერი
თეთრი ღვინო - 800 მლ-1 ლ
ახალი ტყემალი - 2 ჭიქა
კარაქი - 1 ს/კ (სავსე)
წყალი - 2 ჭიქა
მარილი და პილპილი - გემოვნებით



**მომზადების წესი:**

ხის სოკო გავარჩიოთ და რამდენიმე საათით გავაჩეროთ ცივ წყალში, შემდეგ გავწუროთ და დავჭრათ. მოვათავსოთ სქელძირიან ქვაბში ალყა-ალყა დაჭრილ ხახვთან, მწვანე ხახვთან, პრასთან და ნიორთან ერთად. დავასხათ წყალი და დავდგათ ცეცხლზე. როცა წყალი თითქმის დააშრება, დავუმატოთ კარაქი და 2 წუთი ვურიოთ, რომ არ მიიწვას, შემდეგ დავასხათ ღვინო, საშუალო ზომაზე დაჭრილი ქინძი, პიტნა და ტარხუნა და 3-5 წუთის შემდეგ კი ტყემალი დავუმატოთ. მოვაყაროთ მარილი, შავი პილპილი და ცეცხლზე გავაჩეროთ ტყემლის მარცვლების მოხარშვამდე.

---

## ბლომანჟე

**ინგრედიენტები:**
კვერცხი - 2
ჟელატინი - 5 ს.კ
რძე - 2 ჭ
ჟოლო - 500 გ
მარწყვი - 500 გ
შაქარი - 1.5 ჭ
წყალი - 1 ჭ



**მომზადების წესი**

**ჟელატინი** ჩავყაროთ ქვაბში და დავასხათ წყალი. გავაჩეროთ 40 წუთი, რომ გაფუვდეს. თუ სითხე არ ეყო, ცოტა წყალი კიდევ დავუმატოთ.

გაარჩიეთ ჟოლო და მარწყვი, რამდენიმე ცალი მოსართავად გადავინახოთ. ჟოლოსა და მარწყვის ნახევარი მოვათავსოთ ბლენდერში, დავასხათ 1 ჭიქა რძე და ავთქვიფოთ.

კვერცხი და შაქარი კარგად ავთქვიფოთ და შევურიოთ ხილის პიურეს. გაფუებული ჟელატინი დავდგათ დაბალ ცეცხლზე და კარგად რომ გაიხსნება (არ უნდა ადუღდეს!), შევურიოთ ხილისა და კვერცხის მასას. ბლომანჟე გადავანაწილოთ ფორმებში და შევდგათ მაცივარში 4-5 საათით.

ხილი შეგიძლიათ გამოიყენოთ სეზონურად და თქვენი გემოვნების მიხედვით

# სპორტი

## გარეჯული რაგბის დღევანდელობა და ახალი ჰორიზონტები

### მუშავდება კახეთში რაგბის განვითარების პროექტი; საგარეჯოში რაგბის ახალი მოედანი აშენდება. რაგბი მუნიციპალიტეტის საპილოტრე სკოლებში

**ორი** ათეული წლის წინ ქართულ რაგბს პატარძეულში კიდევ ერთი ახალი და საიმედო კერა შეემატა. ადგილობრივი მორაგბეებისა და მწვრთნელების თაოსნობით ჩამოყალიბდა რაგბის გუნდი პატარძეულის „ვეფხვები", რომლის აღსაზრდელებმა სულ მალე მიიქციეს ამ დარგის სპეციალისტების ყურადღება არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რის შესახებაც ჩვენმა გაზეთმა თავის დროზე მიაწოდა სათანადო ინფორმაცია სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ მკითხველს.



პატარძეულში ფეხადგმული გარეჯული რაგბის ისტორიაში ახალი ერა მაინც ააიპ „რაგბის კლუბი „ვეფხვების" ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო, რითაც მის ფუძემდებლებს მეტი შანსი და საშუალება მიეცათ თავიანთი ჩანაფიქრისა და წამოწყებული საქმის განვითარებისა და წინსვლისათვის. ამის შედეგად სადღეისოდ კლუბთან არსებობს რაგბის შემსწავლელი სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები არა მარტო პატარძეულსა და საგარეჯოში, არამედ კახეთის მეზობელ მუნიციპალიტეტებშიც. მათგან „ვეფხვების" კაცთა გუნდი რამდენიმე წელია მონაწილეობს პირველი ლიგის თამაშებში და აღზრდილი ჰყავს ევროპის ჩემპიონები, საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების წევრები და კანდიდატები.

საქართველოს მთავრობისა და რაგბის კავშირის მიერ მიმდინარე წლიდან მეტად დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება ჩვენს მუნიციპალიტეტსა და მთლიანად კახეთის რეგიონში რაგბის პოპულარიზაციისა და შემდგომი განვითარების კუთხით. კონკრეტულად, თუ რა გაკეთდება ამისათვის, ამას ააიპ „რაგბის კლუბი „ვეფხვების" დირექტორთან **სანდრო პავლიაშვილთან** დიალოგიდან შეიტყობთ.

***– ბ-ნო სანდრო. ვიდრე მიმდინარე წელს ჩვენს მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ დაიწყებდეთ საუბარს, თუ შეიძლება ორიოდე სიტყვით გვიამბოთ, რა წარმატებებით გააცილეს გასული სპორტული წელი თქვენი კლუბის სპორტსმენებმა და როგორ დაიწყეთ 2023 წელი?***

– გასულ წელს დიდების კაცთა გუნდი მონაწილეობდა საქართველოს რაგბის კავშირის I ლიგის თამაშებში და შეძლო V ადგილის დაკავება. ასევე, ჩვენი ჭაბუკებისა და ბავშვთა ასაკის გუნდების რაგბისტები მონაწილეობდნენ საქართველოს ჩემპიონატებსა და ბავშვთა ფესტივალებშირაც მეტად უწყობს ხელს მათი დაოსტატებისა და წინსვლის საქმეს. რაც შეეხება მიმდინარე წელს, კაცთა გუნდში მოხდა ახალი მოთამაშეებით გადახალისება ჭაბუკთა ლიგისა და სხვა გუნდებიდან მოწვეული მოთამაშეებით. ამჟამად გუნდი იმყოფება საპლეი-ოფო ზონაში და ორ დღეში გადაწყდება, შევალთ თუ არა სამეულში, რაც მხოლოდ მომდევნო შეხვედრის მოგების შემთხვევაშია შესაძლებელი. შევძლებთ თუ არა ამის მიღწევას, ეს ამ დღეებში გადაწყდება, თუმცა ჩვენ არასოდეს დაგვიყრია ფარ-ხმალი და კვლავაც ვიბრძოლებთ უმაღლესი შედეგებისა და ჩემპიონობისათვის.



***– თქვენი კლუბის მუშაობის „აქილევსის ქუსლი" პატარძეულში არსებული მოუწესრიგებელი სათამაშო მინდორი იყო. თუ გაკეთდა იქ არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის გასულ წელს რაიმე?***

– ეს მოედანი კვლავ ცუდ მდგომარეობაშია, რის გამოც ვერ ხერხდება ვარჯიშების ნორმალურად წარმართვა, რომ აღარაფერი ვთქვათ თამაშების ჩატარების შესახებ. რის გამოც, როცა კაცთა გუნდს თამაშები უწევს, გვიწევს თბილისსა და რუსთავში სათამაშო მოედნების დაქირავება და ჩვენი პატარძეულელი რაგბისტების ტრანსპორტირება. უმეტესწილად გვიწევს რუსთავში თამაშები, სადაც ჩვენი ერთგული მაყურებელი ახერხებს ტრანსპორტირებას. წარმოიდგინეთ, ყოველი თამაშის წინ ვართ ასეთი პრობლემების წინაშე, სად ვითამაშებთ, წინასწარ არ ვიცით ხოლმე.

***–პატარძეულის მოედანს არც წელს დაადგება საშველი?***

– მგონია, კი. წელს საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი ამ პრობლემას. ალბათ თქვენც მოგეხსენებათ, რომ ***ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში 100 სტადიონის აშენების შესახებ, საიდანაც 1 ახალი სტადიონი აშენდება „ვეფხვებისათვის" საგარეჯოში, ყოფილი პოლიტექნიკური ტექნიკუმის წინ*** და როგორც გვპირდებიან, ერთ-ერთი პირველი, რომლის მშენებლობაც წელს დაიწყება ეს ჩვენი სტადიონი იქნება.

***– ჭაბუკთა და ბავშვთა ასაკობრივი გუნდები ახსენეთ. პატარძეულის გარდა, როგორც ვიცით ასეთი გუნდები საგარეჯოში და გურჯაანის მუნიციპალიტეტშიც გყავთ....***

– ა(ა)იპ „რაგბის კლუბი „ვეფხვებთან" შექმნილი გვაქვს 15, 13,11 და 9 წლამდელთა ასაკობრივი და ჭაბუკთა ლიგის გუნდები. ბავშვთა გუნდები მონაწილეობენ საქართველოს რაგბის კავშირის მიერ მოწყობილ ბავშვთა ფესტივალებში, წელიწადში დაახლოებით 40 ასეთი ფესტივალი იმართება, ჭაბუკები კი (2006-2007წწ) მონაწილეობენ ჭაბუკთა ლიგის თამშებში. მათი სამწვრთნელო ვარჯიშები ტარდება როგორც პატარძეულში, ისე საგარეჯოს სტადიონზე, ჩვენი ყოფილი მორაგბეების, რაგბის I დონის ლიცენზიის მფლობელი მწვრთნელების მიერ. ორივე ლოკაციაზე ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 18 საათზე.

რაც შეეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტს, იქ ჩვენი მწვრთნელები უკვე სამ ლოკაციაზე ამზადებენ ბავშვებს. ამდენივე ლოკაცია გვაქვს თბილისში. ასევე კიდევ ერთი კერა შემოგვემატა ლაგოდეხში, სადაც ჩვენი მწვრთნელი უკვე ავარჯიშებს რაგბით დაინტერესებულ ლაგოდეხელ მოზარდებს.

***– წინა წლებში რაგბიზე სავარჯიშოდ პატარძეულში ყანდაურიდან და ბადიაურიდანაც დადიოდნენ მოზარდები. წელს როგორაა ამ მხრივ საქმე?***

– ყანდაურიდან და ბადიაურიდან ბავშვები სავარჯიშოდ ახლაც დადიან, რომლებიც პატარძეულში კლუბის მიკროავტობუსით გადმოგვყავს ხოლმე და მსურველი უკვე იმდენია, რომ მეორე მიკროავტობუსიც გვჭირდება.

***– წინა წლებში ვეფხვებს ჰყავდა ევროპის ჩემპიონატის მონაწილე და რამდენიმე გამარჯვებული, ასევე საქართველოს სხვადასხვა წლიანთა ნაკრებების წევრები. ერთ-ერთი მათგანი იყო საგარეჯოელი*** **ბიბი ქურხული – 2021 წლის ევროპის ჩემპიონი,** ***რომელიც ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს და იქაურ გუნდში თამაშობს. მის გარდა კლუბში გვავთ თუ არა გამორჩეული სპორტსმენები, რომლებიც თავის სიტყვას ამბობენ ქართული რაგბის ისტორიაში?***

– ასეთია ვეფხვებში აღზრდილი, საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების მორაგბე **ტარიელ ბურთიკაშვილი,** რომელიც გახდა 2021 წლის ევროპის ჩემპიონი და არის ტურნირის ბომბარდირი. იგი წელსაც შეყვანილია ნაკრების შემადგენლობაში.საქართველოს რაგბის კავშირის აკადემიაში აღმოსავლეთ საქართველოდან მოხვდა მხოლოდ **გიორგი დოლენჯაშვილი.**

***– რამდენადაც ცნობილია, საქართველოში რაგბის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით რაგბის კავშირის მიერ დაწყებულია საპილოტე პროექტი სასკოლო რაგბის განვითარების მიზნით და ჩვენი მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლაში ტარდება რაგბის გაკვეთილები. რომელია ეს სკოლები?***

– ეს სკოლებია ***საგარეჯოს I,III და IV საჯარო სკოლები,*** სადაც ჩვენი მწვრთნელი **შოთა შალვაშვილი** შესაბამისი ასაკის მოსწავლეებს უტარებს რაგბის გაკვეთილებს. მეცადინეობებს უამრავი მსურველი შემოუერთდა.

***– თუ შემოგემატათ რომელიმე ახალი სპონსორი?***

– ამ მხრივ ჩვენთან საქმე ისევ ძველებურადაა. მარტო გვეხმარება საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი და პატარძეულში მოქმედი ნავთობკომპანია.

***– მომავალში რა სიახლეს ველოდოთ?***

– მზადდება პროექტი, რომელიც საგარეჯოს, გურჯაანის, ლაგოდეხის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ითვალისწინებს რაგბის შემდგომ განვითარებასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, რაც საშუალებას მოგვცემს უახლოეს წლებში „ვეფხვებში" აქაურმა მორაგბეებმა ითამაშონ.

*გივი დაბახიშვილი*

## კრივი

## არშემდგარი ფინალი და ვერცხლის მედალი

### „ოქრო-ვერცხლი" გარეჯელებმა გაიყვეს



***ოფიციალურად** საგარეჯოში კრივი სულ რაღაც 10-12 წლის წინ დაარსდა. როგორც ამბობენ ხოლმე, მან ფეხი ნინოწმინდაში აიდგა მრავალმხრივი ნიჭის და დამსახურების მქონე თბილისელი მწვრთნელის **ზურაბ იმნაძის** თაოსნობით. საგარეჯოში კრივის ფუძემდებელი ეს პიროვნება თავდაპირველად ჩვენებური მოზარდების წვრთნას ნინოწმინდაში შეძენილ საკუთარ სახლში შეუდგა, შემდეგ კი ისეთ წარმატებებს მიაღწიეს პატარა ნინოწმინდელებმა, რომ ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მათი მომავალი წარმატებისათვის კრივის შემსწავლელ წრეს საგარეჯოში დაუდო ბინა. სულ რაღაც 1.5-2 წელიწადში კი მისი წრის აღსაზრდელები უკვე გამოჩნდნენ და თავისი სიტყვა თქვეს გარეჯული კრივის ისტორიაში. ამ უამრავთაგან ერთ-ერთია ჩვენი ნინოწმინდელი თანამემამულე, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ორგზის პრიზიორი და მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე **გიორგი დეკანოზიშვილი.** ახლახანს, თებერვლის დასაწყისში ბათუმში გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე გიორგის ერთი ნაბიჯიღა დააკლდა კვლავ გამხდარიყო საქართველოს ჩემპიონი და გაეხარებინა კრივის საგარეჯოელი გულშემატკივრები და თუ რამ შეუშალა მას ხელი ამაში, დღევანდელი დიალოგიდან შეიტყობთ.*

***– გიორგი, გილოცავთ ბათუმში მოპოვებულ ვერცხლის მედალს და ვიდრე იქ განვითარებული მოვლენების შესახებ დავიწყებდეთ საუბარს, მოდით, მოკლედ გააცანით ჩვენს მკითხველს, ვინ ხართ, როდის გაგიტაცათ კრივმა და ა.შ.***

– დავიბადე და გავიზარდე სოფელ ნინოწმინდაში. აქვე დავამთავრე სოფლის საჯარო სკოლა. მყავს დედა და ერთი და. რაც შეეხება ჩემი კრივით დაინტერესებას და ამ გზის გაყოლას, ეს მოხდა ადრეულ ასაკში, როცა სავარჯიშოდ მივედი ნინოწმინდაში გახსნილ ზურაბ იმნაძის წრეში. შემდეგ კი საგარეჯოში გავაგრძელე მასთან ვარჯიში.

***– როდის მოხდა რინგზე შენი პირველი წარმატება?***

– კარგად არ მახსოვს, 2012 წელი იყო, თუ 2013 წელი, , გავხდი კახეთის რეგიონული ჩემპიონატის გამარჯვებული, სადაც გამოვდიოდი 50კგ წონითი კატეგორიის მოკრივეებს შორის.

***– როგორც ცნობილია, ზურაბ იმნაძის ავადმყოფობის გამო, რამდენიმე ხნით შეფერხდა კრივის სექციის მუშაობა, შემდეგ კი ამ საქმეს ხელი მისმა აღზრდილმა, ამჟამად ამ სექციის მწვრთნელმა გიორგი კოხტაშვილმა მოჰკიდა ხელი. თუ მოგიწია მისი ხელმძღვანელობით ვარჯიშმა?***

– კი, რა თქმა უნდა. დაახლოებით 5-6 წელია გიორგისთან ვვარჯიშობ, რაც დღემდე გრძელდება.

***– ჰო, ამაზე გამახსენდა. როგორც საქართველოს ნაკრების წევრი, ალბათ თბილისშიც გიწევს ვარჯიში და ვისთან ვარჯიშობ იქ?***

– თბილისში ვვარჯიშობ კლუბ „ელიას" რინგზე, სადაც ჩემი მწვრთნელია ვეფხო ცისკარიშვილი. თბილისში სავარჯიშოდ ორ დღეს დავდივარ, დანარჩენ 3 დღეს კი საგარეჯოს კრივის წრეზე გიორგი კოხტაშვილთან.

***– შენ სხვადასხვა ასაკში საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ხარ, ხომ ვერ გაიხსენებ, კერძოდ რომელ წლებში მოხდა ეს?***

– საქართველოს ჩემპიონატი მოგებული მაქვს ზედიზედ ოთხჯერ, დაწყებული 2018 წლიდან 2022 წლამდე, სასკოლო ასაკში, კადეტებში და ახალგაზრდებში.

***– ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე შენს მონაწილეობაზე რას იტყვი?***

– ვარ ევროპის ორგზის მესამე პრიზიორი, კერძოდ, 2018 და 2019 წლებში. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, იქ თანაბარ ბრძოლაში ჩემს ეგვიპტელ მოწინააღმდეგეს მისცეს უპირატესობა და გამომთიშეს ასპარეზობიდან.

***– ბათუმში საქართველოს ჩემპიონატზე შენს მიერ მოპოვებული ვერცხლის მედლისა და იქ განვითარებული მოვლენების შესახებ რას გვეტყვი, სადაც შენი მწვრთნელები და გულშემატკივრები კვლავ ჩემპიონატის ოქროს მედალს გიწინასწარმეტყველებდნენ?***

– ბათუმში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში 86 კგ წონით კატეგორიაში ვღებულობდი მონაწილეობას, სადაც ნახევარფინალში დავამარცხე ზუგდიდელი, გასული წლების საქართველოს ჩემპიონი ჭკადუა და ფინალში უნდა შევხვედროდი ჩვენს პატარძეულელ თანამემამულეს გიორგი ყუშიტაშვილს, რომელიც ადრე რუსეთში ვარჯიშობდა, მაგრამ იმის გამო, რომ ჭკადუასთან შეხვედრისას დავიზიანე მარცხენა ხელის კუნთი, ეს შეხვედრა ვერ შედგა და ამრიგად, მე ვერცხლის, გიორგის კი ოქროს მედალი მოგვეკუთვნა.

***– ჩემპიონატზე „ილიას" სახელით გამოდიოდი, თუ ჩვენი მუნიციპალიტეტის?***

– რა თქმა უნდა, საგარეჯოს სახელით.

***– როგორია შენი ნატკენი ხელის მდგომარეობა და სამომავლო ამოცანები?***

– ხელის მკურნალობა ნორმალურად მიმდინარეობს და რამდენადაც ამის საშუალება მაქვს, ვაგრძელებ ვარჯიშს. რაც შეეხება სამომავლო ამოცანებს, ნოემბერში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობის უფლებაც ბათუმში მოვიპოვე და ვეცდები, ვიბრძოლო მაღალი შედეგების მისაღწევად.

***– აბა რა! სულ საქართველოში ხომ არ გამოხვალ პირველ ადგილზე. ახლა ევროპის ჩემპიონატის რიგია და ღმერთმა ხელი მოგიმართოს ამ მიზნის მიღწევაში.***

***ესაუბრა***
*გივი დაბახიშვილი*

## ჭადრაკი

## კახეთის რეგიონულ ჩემპიონატზე

**25-26 მარტს** ლაგოდეხში ჩატარდა კახეთის ღია რეგიონული ჩემპიონატი 8-10 წლიან ჭაბუკებსა და გოგონებს შორის, სადაც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოჭადრაკეები.

8 წლამდელ გოგონათა შორის I ადგილი დაიკავა მარი სუკასიანმა, II – ნუკა ლოლაძემ, III – ანასტასია ხასიამ.

10 წლამდელ ჭაბუკთა შორის პირველი იყო ალექსი ჭინჭარაული, მესამე ადგილზე გავიდა დემეტრე ბეჟიტაშვილი.

## ზუკა გამრეკელაშვილის III ადგილი

**19-26 მარტს** თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა სარეიტინგო ტურნირი ფიდეს რეიტინგით 1800 და ნაკლები ქულების მქონე მოჭადრაკეთა შორის, რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდა **ზუკა გამრეკელაშვილი,** რომელმაც მოაგროვა 6 ქულა და დაიკავა III ადგილი.

*ზ. აგულაშვილი*

# „რაც დავიწყებით არ იბინდება!..“
# 9 აპრილი – დღე ტკივილიანი



**1989 წლის** 9 აპრილის მოვლენებიდან 34 წელი გავიდა. ეს დღე დიდ ტკივილად იქცა საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ამავე დროს - ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა,** მოადგილესთან, **გიორგი ლალიაშვილთან** და საკრებულოს თავჯდომარესთან - ალექსი გილაშვილთან ერთად 9 აპრილის მემორიალები თაიგულებით შეამკო და პატივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას.

ქ. საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გვამოგზაურეს 90-იან წლებში და კიდევ ერთხელ ისაუბრეს დღევანდელი დღის მნიშვნელობაზე, 21 მშვიდობიან,დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი თავგანწირული ქართველი გმირების ღვაწლსა და პატრიოტიზმზე.



34 წლის წინ, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ათასობით ადამიანი მოიწამლა. ქართველმა ხალხმა 9 აპრილი ეროვნულ დღესასწაულად და ეროვნული ერთიანობის დღედ გამოაცხადა.

„ეს დღე არის თავისუფლებისა და ერთიანობისთვის ბრძოლის დღე. გმირები, რომლებმაც ამ დღისათვის თავი გასწირეს ჩვენი ისტორიის თვალსაჩინო, სამაგალითო და საამაყო ადამიანები არიან. ქედს ვიხრი თითოეულის წინაშე! დღევანდელ ღონისძიებაზე კიდევ ერთხელ ცხადად და მძაფრად შევიგრძენი იმ დღეების სევდა, ტკივილი და ამავდროულად, ეროვნულ ფასეულობათა საბოლოოდ გამარჯვების დღის ხიბლი”- განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.

1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლისთავზე, 1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაეწერა ტრაგედიის და ამავდროულად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.

## ნათობიშვილების ოჯახის დახმარებას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია კვლავ განაგრძობს



**7 აპრილს** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან - **ზურაბ შინდელაშვილთან** ერთად სოფელ უჯარმაში მცხოვრები ნათობიშვილების ოჯახი მოინახულა. ხარების დღესასწაული მიულოცა და საცხოვრებელი სახლის სახურავის გადახურვის დასრულებულ სამუშაოებს გაეცნო.

მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, აღნიშნულ ოჯახს სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია. დაფინანსება, საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლა - გადახურვა, ოჯახის წევრების სოფელ უჯარმაში დასაქმება.



ავთანდილ გულიკაშვილი ოჯახის დიასახლისს არსებულ საჭიროებებზე ესაუბრა და მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა.

# ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
# სოფელი ბადიაური



**ბადიაურის** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 1980 წელს გაიხსნა – ეს იყო კეთილმოწყობილი,საოცრად ლამაზი განლაგების მქონე შენობა. დროთა განმავლობაში შენობამ კაპიტალური რემონტიც მოითხოვა.. ერთ ხანს აქ მხოლოდ პირველი სართული იყო გამოყენებული, მეორე სართული კი სერიოზულ რეაბილიტაციას მოითხოვდა. 2015 წელს შენობის I სართულს სერიოზული რემონტი ჩაუტარდა – დღეს ბადიაურის საბავშვო ბაღი (მენეჯერი **ირმა ჩალათაშვილი)** ყოველდღიურად 53 აღსაზრდელს მასპინძლობს. ისინი ორ ჯგუფში არიან გაერთიანებული. მათგან სასკოლო ასაკისაა 16, 53-დან 15 აღსაზრდელი აზერბაიჯანულენოვანია, რომელთაგან 7 სასკოლოა. ისინი ბადიაურელ თანატოლებთან ურთიერთობით ქართულ ენას ეუფლებიან, რაც შემდეგ მათ დიდად დაეხმარებათ ქართულ საზოგადოებასთან ურთიერთობაში. გასულ სასწავლ;ო წელს საბავშვო ბაღმა 74 აღსაზრდელი მიიღო. მათგან 24-მა სექტემბერში სკოლის I კლასის კარები შეხსნა. დღეს ***აღმზრდელები ინეზა იმნაძე, ლია ბაცანაძე, აღმზრდელის თანაშემწეები ლელა ნაცვლიშვილი, თეა მაისურაძე, მუსიკის მასწავლებელი მეგი ჭანყოშვილი, ფსიქოლოგი მაია ზურაშვილი, ლოგოპედი ნათია ხარებაშვილი, მედდა მანანა ლომსაძე, მზარეული – ელიკო ოდიშვილი, მზარეულის თანაშემწე მარინე ზაკალაშვილი, მეეზოვე მარინა კუმელაშვილი, ჭურჭლის მრეცხავი მაკა ათაბეგაშვილი*** – ბადიაურელი პატარებისათვის საინტერესო და ლამაზი დღეების ჩუქებისათვის ზრუნავენ.



**ზღაპრის დღე საბავშვო ბაღში – სტუმარი – ყოფილი აღმზრდელი დალი ზავრადაშვილი**



## მადლობა

**სოფელ** მზისგულის მოსახლეობა მადლობას უხდის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და პირადად ***მუნიციპალიტეტის მერს* ავთანდილ გულიკაშვილს** სოფლისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და სოფლის მოსახლეობისათვის ერთ-ერთი პრობლემის მოგვარებისათვის – სოფლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქუჩა მოასფალტდა, რამაც მთლიანად შეცვალა სოფლის იერ-სახე.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com